საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 32
16/09/2015

32-06-4-201509161813

დადგენილება №32

ქ.ოზურგეთი

2015 წელი 16 სექტემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი1.შემოღებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი საპატიო წოდებები:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწე;

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მცხოვრები.

მუხლი2.დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების თანდართული წესი.

მუხლი 3.დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 16 სექტემბრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო